პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის, პარტიული და კომკავშირის კომიტეტების, პროფკომისა და ადგილკომის ორგანო
Ахалгазрда Сталинели — орган ректората, парткома, профкома, месткома и комитета ЛКСМ Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 32 (93) | ორშაბათი, 25 ოქტომბერი, 1954 წ. გამოცემის მესამე წელი | ფასი 20 კაპ.

ვიზრუნოთ სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის

ჩვენს ქვეყანაში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობა ეუფლებოდეს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა მეცნიერებას, მარქსიზმ-ლენინიზმის დიად იდეებზე იზრდებოდეს კომუნისტური საზოგადოების მომავალ მშენებლებად.

სტუდენტები ჩვენს ქვეყანაში უზრუნველყოფილი არიან სტიპენდიებით, საერთო საცხოვრებლებით, მათთვის განკუთვნილი სპეციალური სასადილოებით და სხვ. ამ ღონისძიებებზე, რაც სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობების დონის ამაღლებისაკენაა მიმართული, სახელმწიფო ასეულ მილიონობით მანეთს ხარჯავს ყოველწლიურად და ეს გასაგებიცაა: ჩვენი სოციალისტური მეურნეობის მზარდი აღმავლობა ტექნიკისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა კადრების ახალ-ახალ ნაკადს მოითხოვს. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლა უმაღლესი სასწავლებლებისა და მათ შორის ჩვენი უნივერსიტეტის ყოველდღიური ზრუნვის საგანია.

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა კოლექტივი საკმაოდ მრავალრიცხოვანია, მათი უმრავლესობა სწავლაში სანიმუშო მაგალითებს იძლევა. მათ რიგებში არიან როგორც თბილისელი, ისე დაშორებული რაიონებიდან თუ მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული ახალგაზრდები. ისინი აქ უზრუნველყოფილი არიან საერთო საცხოვრებლებით. აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა ქალაქის 12 საცხოვრებელი კორპუსიდან 4 კორპუსი მარტო უნივერსიტეტს ეკუთვნის და მათში 840-ზე მეტი სტუდენტია ჩასახლებული. სტუდენტთა ქალაქში მაცხოვრებლები გარდა საერთო ბინებისა, სარგებლობენ იქ არსებული სასადილოთი, სხვადასხვა სახის სავაჭრო წერტილებით, საავადმყოფოთი და სხვ., რაც მათ საყოფაცხოვრებო პირობებს უზრუნველყოფს.

მიუხედავად ამისა, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენი სტუდენტების საყოფაცხოვრებო პირობები აღარ საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას, რომ იგი სავსებით სრულყოფილია. უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი: საცხოვრებელი ოთახების ერთი ნაწილი სრულებით არაა უზრუნველყოფილი კარადებით, ნაწილში მოთავსებული კარადები კი ფაქტიურად გამოუსადეგარია სერიოზული კაპიტალური რემონტის გარეშე, მხოლოდ ცოტაა ისეთი კარადა, რომელიც ასე თუ ისე ვარგისად ჩაითვლება. მსგავსი მდგომარეობაა აქ სხვა ინვენტარით უზრუნველყოფის საქმეშიც.

მიუხედავად იმისა, რომ წელს სტუდენტთა ქალაქში საცხოვრებელი ბინებისა და ინვენტარის შეკეთებაზე საკმაოდ დიდი თანხა დაიხარჯა, ეს ნაკლოვანებანი ძირითადად მაინც აღმოუფხვრელია.

ეს მდგომარეობა უსათუოდ იმით უნდა აიხსნას, რომ აქ წლების განმავლობაში უხარისხო რემონტი კეთდებოდა ხოლმე.

არაერთხელ აღნიშნულა ყოველივე ეს, მაგრამ საქმეში არსებითი გარდატეხა კი არ მომხდარა. დროა, ბოლო მოეღოს უწესრიგობას სტუდენტთა ქალაქში. მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მთელი ის რესურსები, რასაც სახელმწიფო ხარჯავს სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: სტუდენტთა ქალაქში მცხოვრებ სტუდენტთა ერთი ნაწილი ხშირად არღვევს საერთო ბინებში ცხოვრების წესებს: ადგილი აქვს ხმაურს, ცალკეულ შემთხვევებში მეხვდებით მთქეიფე სტუდენტებსაც. არიან ისეთებიც, რომლებიც დილიდან საღამომდე ფანდურზე სიმღერის მეტს არაფერს აკეთებენ და ხელს უშლიან ამხანაგებს ნორმალურ მუშაობაში. ზოგჯერ სტუდენტთა ქალაქში „სტუმრად" მოდიან უცხო და გარეშე პირები, რომლებიც თავიანთი საეჭვო საქციელით სახელს უტეხენ იქ მაცხოვრებელ სტუდენტებს. ასე მაგალითად, სექტემბრის თვეში I კორპუსის 33-ე ოთახში სტუმრად იყო მისული რამდენიმე ახალგაზრდა. ამ დროს კორპუსში მუშაობდა სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობების შემმოწმებელი კომისია. როცა ეს კომისია აღნიშნულ ოთახს ეწვია, ერთ-ერთი „სტუმარი" ფანჯრიდან გადახტა, დანარჩენი ორი კი კარადას ამოეფარა უკან!.. ბუნებრივად ისმება კითხვა, წესიერი სტუმარი რატომ უნდა იმალებოდეს კარადის უკან, ან რატომ უნდა ხტებოდეს ფანჯრიდან? საინტერესოა ისიც, რომ თავის თავში დაეჭვებული ასეთი სტუმრები რატომ ისტუმრეს თვითონ მასპინძლებმაც.

სტუდენტთა მიერ საერთო ბინებში ცხოვრების წესების ასეთი დარღვევა, რა თქმა უნდა, ზიანს მოუტანს მათ ნორმალურ სასწავლო მუშაობაში. ამიტომ ყოველი სტუდენტი ვალდებულია არ დაუშვას ასეთი ფაქტების გამოვლინება, წესიერი იყოს თვითონაც და წესიერება მოითხოვოს ამხანაგებისგანაც. კორპუსებში არსებული სტუდსაბჭოების მუშაობა ძირითადად ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს.

სტუდენტთა ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფა ჩვენი ყოველდღიური ზრუნვის საგანია.

სურათზე: სახელმწიფო სამართლის თეორიისა და ისტორიის სტუდენტთა სამეცნიერო წრე მეცადინეობის დროს: წრის წევრი, V კურსის სტუდენტი ზ. ჩიტაძე მოხსენებას კითხულობს თემაზე „საბჭოთა საარჩევნო სისტემა და ჩვენი ახალგაზრდობა".

ფოტო ბ. ბაქრაძისა

წარუშლელი შთაბეჭდილებანი

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგეთ, რომ სსრკ ეკონომიურ გეოგრაფიაში სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მისაღებად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე უნდა წავსულიყავით.

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტების პრაქტიკას ხელმძღვანელობდნენ პროფ. ტ. ათაბეგოვი, ასისტენტი ა. ტერელაძე და ლაბორანტი ო. პეტრიაშვილი. თითოეული სტუდენტი მიმაგრებული იქნა ცალკეულ პავილიონზე, რათა ძირფესვიანად შეესწავლა პავილიონში გამოფენილი მასალა და შემდეგ გაეზიარებინა ამხანაგებისათვის. მე პირადად წილად მხვდა შემესწავლა ჩვენი რესპუბლიკის პავილიონში მოთავსებული მასალები და ამ საქმეს გამოფენაზე ჩასვლის დღიდანვე შევუდექი.

შესანიშნავი არქიტექტურული გემოვნებით აშენებული პავილიონები, საკოლმეურნეო თვალწარმტაცი მოედანი გამაცოცხლებელი სილამაზისა და სიძლიერის მქონე შადრევნებით („ხალხთა მეგობრობა", „ქვის ყვავილი"), ცოცხალი ექსპონატები, ჭრელ ხალიჩებად მოფენილი ყვავილნარები, მწვანეში ჩაფლული ქალაქ-ბაღი, — ხედავ ყოველივე ამას და სამართლიანი სიამაყის გრძნობას განიცდი. გამოფენის ყველა სტენდს დეტალურად ათვალიერებ, ცდილობ არაფერი დაგრჩეს უნახავი და ასე დაუსრულებლად ეცნობი ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის სიძლიერეს, მის მიღწევებს.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ჩვენი სამშობლოს მილიონობით მშრომელის ურღვევი მეგობრობის შესანიშნავი დემონსტრაციაა. ყოველივე ის ახალი, მოწინავე, რასაც მეცნიერება და პრაქტიკა იძლევა, გამოფენაზე საყოველთაო კუთვნილება ხდება. აი, თავის გამოცდილებაზე ლაპარაკობს ბამბის პლანტაციის წინ მდგომი უზბეკი. შრომის ნოვატორულ მეთოდებს უზიარებენ მეგობრებს მოლდაველი მევენახე, ქართველი მეჩაიე, რუსი კომბაინერი, უკრაინელი მეჭარხლე, ციმბირელი მონადირე და სხვები.

მწვანე თეატრში, რომლის დარბაზი 5 000 კაცს იტევს, გამოდიან სსრ კავშირის ხალხთა სიმღერისა და ცეკვების ანსამბლები, კოლმეურნეობათა თვითმოქმედი კოლექტივები. სცენაზეა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. იმდენად დიდი იყო მისი წარმატება გამოფენაზე, რომ გეგმით გათვალისწინებული ორის ნაცვლად, თორმეტი კონცერტი გამართა. მოწონება დაიმსახურა ანსამბლის მიერ შესრულებულმა სვანურმა „რამაიდამ", მასიურმა ცეკვამ „საკოლმეურნეომ" და სხვ. ეს ანსამბლი მეორედ ეწვია გამოფენას.

გამოფენაზე ყოველდღე ნახავთ ჩვენს უცხოელ მეგობრებს. მთელი გამოფენა, და მათ შორის საქართველოს პავილიონი, მათ სამართლიან მოწონებას იმსახურებს. აი, დიდ შადრევანთან თავი შეუყრიათ და ფოტოსურათებს იღებენ გმირი კორეის ვაჟები და ქალიშვილები. საქართველოს პავილიონს ათვალიერებს დიდი ჩინელი ხალხის ახალგაზრდა წარმომადგენელი, რომელიც ბრწყინვალედ ლაპარაკობს რუსულად. „თუ შეიძლება გვითხარით, რა ჩაწერეთ შთაბეჭდილებათა წიგნში"? — ეკითხება მას ჩემი ამხანაგი, საქართველოს ნორჩ ნატურალისტთა დელეგაციის ერთ-ერთი წევრი. შავგვრემანმა, ვიწროთვალებიანმა ჩინელმა ღიმილით შემოგვხედა და შთაბეჭდილებების უკანასკნელი წინადადება გადაგვითარგმნა: „თქვენი ჩინელი მეგობრებისათვის განსაცვიფრებელია საბჭოთა ადამიანის შრომითი საქმიანობა".

საერთო მოწონებას იმსახურებს პავილიონის მთავარი მხატვრის მამალაძის, არქიტექტორების ა. ქურდიანისა და ვ. ლეჟავას თავდადებული ნამუშევრები. მაღალი ოსტატობითაა გაკეთებული ქ. თბილისის პანორამა მხატვარ მაჭავარიანის მიერ. ყოველ ექსკურსანტს მისთვის საინტერესო საკითხებზე ამომწურავ პასუხს აძლევენ პავილიონის მთავარი მეთოდისტი შ. სიმონიშვილი, სამტრესტის აგრონომი ი. ანანიაშვილი და სხვები. აი, მათთან მიდის უზბეკელი მეაბრეშუმე თხოვნით, უამბონ ქისტაურელი და ლანჩხუთელი მეაბრეშუმეების ო. აივაზიშვილისა და ლ. კომახიძის შრომის ნოვატორულ ხერხებზე.

სპეციალურ სტენდზე გამოფენილია სახელოვანი მეჩაიე ქალის ლ. ტაკიძის შრომითი მიღწევები. 3 ჰექტარ პლანტაციიდან თითოეულზე 7 160 კგ ჩაი! — ასეთია მისი შრომის შედეგი.

ექსკურსანტთა მოწონებას და განცვიფრებასაც იწვევენ მეჩაიეების, სოციალისტური შრომის გმირების ნ. ბელქანიას და თ. ყუფუნიას, მყნობელების შ. გოგუაძისა და ი. ურუშაძის, სელექციონერების ი. ბესტავაშვილის, დ. თაქთაქიშვილის, ელ. ერისთავის და სხვათა მიღწევები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

ძნელია ჩამოთვლა იმ ადამიანებისა, რომლებიც თავისი შრომითი გმირობით თუ ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობით მრავალი ექსკურსანტის მოწონებას იმსახურებენ, ხოლო ყოვლად შეუძლებელია გადმოცემა ყველა იმ შთაბეჭდილებისა და სიამოვნებისა, რაც საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე 10 დღის ყოფნით განვიცადეთ.

რ. კვერენჩხილაძე,
პრაქტიკის მონაწილე სტუდენტი.

★

სურათზე: სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მოსკოვში. შადრევანი — „ქვის ყვავილი".

ფოტო გ. გომართელისა

მხატვრული თვითმოქმედების VIII რესპუბლიკური ოლიმპიადის წინ

წარმატებით ემზადებიან ჩვენი უნივერსიტეტის თვითმოქმედი კოლექტივები მხატვრული თვითმოქმედების VIII რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მონაწილეობის მისაღებად. ისინი ამ ოლიმპიადის წინა დღეებში მთელი ენერგიით მუშაობენ, რათა კვლავაც ასახელონ ჩვენი უნივერსიტეტი და შეინარჩუნონ გასულ ოლიმპიადაზე მოპოვებული წარმატებანი. აღსანიშნავია, რომ წელს ჩვენი თვითმოქმედი კოლექტივები ოლიმპიადაზე სრულიად ახალი პროგრამით გამოვლენ. ეს პროგრამა, საკმაოდ რთულია და ყველა მონაწილის ერთიან, შეთანხმებულ, დაძაბულ, შემოქმედებით მუშაობას მოითხოვს. ჩვენი სიმფონიური ორკესტრი მომღერალთა გუნდთან ერთად ოლიმპიადაზე წარდგება ზ. ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის" III მოქმედების დადგმით. უნდა ითქვას, რომ ახლად ჩამოყალიბებულმა მომღერალთა გუნდმა ხელმძღვანელის გ. ჩიკაშუას ენერგიული მუშაობის შედეგად მოკლე ხანში დაძლია მის წინაშე მდგარი საკმაოდ რთული ამოცანა და ამჟამად გუნდი უკვე სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მუშაობს საპროგრამო ნაწარმოების შესრულების დახვეწაზე. ამ საქმეში აღსანიშნავია ვოკალისტების (ხელმძღვანელი ბ. დოლიძე) რ. დავრიშაშვილის, კ. მაღრაძის, დ. მეგრელიშვილის, ო. ბატელიშვილის, ლ. ფრანგიშვილის და გ. გრიგოლიას მონდომებული მუშაობა.

რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის წარმატებით ემზადებიან აგრეთვე ქორეოგრაფიული წრის წევრებიც (ხელმძღვანელი რ. ჯობინელიძე). ეს წრე მთელ რიგ სხვა ცეკვებთან ერთად წელს პირველად ამზადებს და ოლიმპიადაზე წარადგენს სრულებით ახალ ცეკვას — „სპორტული ახალგაზრდობა". წრის რეპერტუარშია აგრეთვე აზერბაიჯანული ხალხური მასიური ცეკვა და სხვა.

რესპუბლიკურ ოლიმპიადას წინ უსწრებს სარაიონო და საქალაქო დათვალიერებანი.

19 და 21 ოქტომბერს მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში უნივერსიტეტის მხატვრულმა თვითმოქმედმა კოლექტივებმა ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სარაიონო მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებაზე საერთო მოწონება დაიმსახურეს. ამ დღეებში ისინი მონაწილეობას მიიღებენ მხატვრული თვითმოქმედების საქალაქო დათვალიერებაზე. ამის შემდეგ ჩვენი თვითმოქმედი კოლექტივები კვლავ განაგრძობენ თავიანთი პროგრამის სრულყოფას და წარდგებიან VIII რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე, რომელიც ნოემბრის შუა რიცხვებში ჩატარდება.

პ. კერვალიშვილი
უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფკომის თავმჯდომარე.

დროა ნაკლოვანებებს ბოლო მოვუღოთ

ჯანსაღი და საქმიანი კრიტიკა, ნაკლოვანებათა მოურიდებელი მხილება, აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა... ასე წარიმართა სტუდქალაქში მცხოვრებ უნივერსიტეტის სტუდენტთა შეკრება, რომელზედაც მოხსენება „სტუდენტთა საცხოვრებელ ბინებში სოცშეჯიბრის მიმდინარეობისა და სანჰიგიენო პირობების დაცვის გაუმჯობესების შესახებ" გააკეთა უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფკომის წევრმა კ. ჩიხრაძემ.

რა გამოირკვა ჩიხრაძის მოხსენების შედეგად?.. რაც მთავარია, საცხოვრებელი ბინების არადანიშნულებისამებრ განაწილების გამო, ოთახებში არსებული ყოვლად აუტანელი სიმჭიდროვე და სტუდენტის ცხოვრებისათვის აუცილებლად საჭირო პირობების უხეში დარღვევა.

ამ საკითხში თვალში მოსახვედრი, ნათელი ფაქტი ბევრია, მაგრამ სტუდქალაქის ხელმძღვანელობა მას რატომღაც „ვერ" ამჩნევს.

სტუდენტებისათვის განკუთვნილ ბინებში სრულიად უკანონოდ ცხოვრობენ ისეთი პირები, რომელთაც არავითარი სამსახურებრივი დამოკიდებულება არა აქვთ სტუდქალაქთან.

მაგალითად, I კორპუსის 21-ე ოთახი დაკავებული აქვს მილიციის თანამშრომელს ა. კაზარიანს, IV კორპუსის 29-ე ოთახს ფლობს სტუდქალაქის დაცვის ყოფილი უფროსი ბერიძე, VII კორპუსის მე-7 ოთახში ცხოვრობს ყოფილი კომენდანტი ვ. ჭაავა ოჯახით. ეს მაშინ, როდესაც ამავე კორპუსის წითელი კუთხე საცხოვრებელ ოთახად გადაკეთდა და მასში 10 სტუდენტი იქნა შესახლებული.

სამმართველოს გადაუდებელი ამოცანაა ყოველგვარ ღონისძიებას მიმართოს ასეთი აღმაშფოთებელი ფაქტების უახლოეს ხანში ლიკვიდაციისათვის.

თავის მოვალეობას პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან სტუდქალაქის საავადმყოფოსა და სანატორიუმის თანამშრომლები. როგორც ცნობილია, ყოველ საცხოვრებელ კორპუსზე გამოყოფილია ერთი ექიმი და ექთანი, რომელთა უპირველეს მოვალეობას შეადგენს სტუდენტთა ჯანმრთელობის სისტემატური შემოწმება, ოთახებში სისუფთავისა და საწოლის წესრიგში მოყვანის ზედამხედველობა. მაგრამ ისინი ხშირად როდი ასრულებენ მათ მოვალეობას. V კორპუსის ექთანი დარჩიაშვილი ყურადღებას არ აქცევს თეთრეულის დაგვიანებით გამოცვლის ფაქტებს, გულგრილად ეკიდება ოთახებში არსებულ უსუფთაობას და ანტიჰიგიენას. ასეთები სხვებიც არიან. მათ დროა იფიქრონ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაზე და მთელი მონდომებით იმუშაონ სტუდენტთათვის სანიმუშო ჰიგიენის შექმნისათვის.

მაგალითის ასაღებად კი VII კორპუსის ექიმს ნერგაძეს და ექთანს დოლოწკაიას დავასახელებთ.

სამართლიანი უკმაყოფილება გამოითქვა სანატორიუმის მიმართაც, სადაც პოლიკლინიკის დიაგნოზის გარეშე ადგილი აქვს სრულიად ჯანსაღი სტუდენტების გადაყვანას სანატორიუმის კმაყოფაზე. ასეთი შემთხვევების გამო სანატორიუმით სარგებლობას მოკლებული არიან ისეთი სტუდენტები, ვისთვისაც ეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა: ხოცუაშვილმა, ჩიტაშვილმა, ტაბატაძემ, კობერიძემ და სხვებმა ყურადღება გაამახვილეს ოთახების კეთილმოწყობაზე.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა სტუდქალაქში საცხოვრებელი ოთახების კარადებით უზრუნველყოფის საქმეში. კარადების 50%-ზე მეტს არა აქვს კარები და, ახლის შეძენაზე რომ არაფერი ვთქვათ, მათ შეკეთებაზეც კი არ იწუხებს თავს სტუდქალაქის სამმართველო.

სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას სტუდქალაქის დაცვის საქმეც. მოკამათეებმა საყვედური გამოთქვეს მილიციის მე-19 განყოფილების მიმართ და მოითხოვეს დაცვის გაძლიერება განსაკუთრებით ღამის საათებში.

შეკრების მონაწილეებმა სათანადო მოთხოვნები წაუყენეს უნივერსიტეტის კომკავშირისა და პროფკავშირის კომიტეტებს, რათა სტუდქალაქში მცხოვრები სტუდენტებისათვის ხშირად ტარდებოდეს კულტმასიური ღონისძიებანი.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის პრორექტორი სამეურნეო ნაწილში ამხ. ა. კანდელაკი.

შეკრებამ შეაჯამა საცხოვრებელ ბინებს შორის სოცშეჯიბრის შედეგები და გამარჯვებულთ ფასიანი საჩუქრები და გარდამავალი ჯილდოები გადაეცათ.

შეკრების დასასრულს ნაჩვენები იქნა კინოფილმი „საბჭოთა საქართველო".

გ. სამსონაძე

ანდრია რაზმაძე

(გარდაცვალებიდან 25 წლისთავის შესრულების გამო)

უნივერსიტეტის მეორე კორპუსში რომ შედიხართ, თქვენს მზერას უთუოდ მიიპყრობს ბრინჯაოს ერთი ბიუსტი; მაღალი შუბლი, სივრცეში ოდნავ ირიბად მაცქერალი ჭკვიანი თვალები, მოკუმული ბაგე. საერთოდ — დაფიქრებული და შთაგონებული სახე; მოკლე წარწერა „ა. მ. რაზმაძე. 1890 — 1929".

უნივერსიტეტი წმიდად ინახავს მისი ერთი-ერთი დამაარსებლისა და დიდი მოამაგის ხსოვნას და განა მარტო უნივერსიტეტი? პროფესორ ანდრია რაზმაძის სახელი დიდი სიყვარულით სარგებლობს მთელ ქართველ ინტელიგენციაში; ეს სახელი უაღრესად პოპულარულია მოსწავლე ახალგაზრდობას შორის; ეს სახელი ღრმადაა აღბეჭდილი ბევრი მეცნიერის გულში — საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ. ხოლო რაღა შეიძლება ითქვას მათზე, ვინც მას პირადად იცნობდა!

ამ სიყვარულის, ამ პოპულარობისა და პატივისცემის ფესვები ოცდახუთი წლის წინათ შეწყდარ მჩქეფარე სიცოცხლესა და ამ სიცოცხლის შემდეგ დარჩენილ მდიდარ შემოქმედებას ებჯინებიან და იქ ღებულობენ მადლიან საზრდოს.

ანდრია რაზმაძე ჭეშმარიტად დიდი მეცნიერი იყო. ძნელია ილაპარაკო მისი მათემატიკური მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ის იყო მათემატიკის ერთ-ერთი ძნელი და საინტერესო დარგის — ვარიაციათა აღრიცხვის მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტი. მის მიერ დატოვებულმა შრომებმა რიგ შემთხვევაში დაასრულეს ამ დარგის ზოგიერთი კლასიკური მიმართულება, ხოლო რიგ შემთხვევაში ახალი ასპარეზი გახსნეს შემდგომი კვლევისათვის, საერთოდ კი ფუნდამენტალური როლი ითამაშეს ვარიაციათა აღრიცხვის განვითარებაში. ჯანსაღი მეცნიერული ფანტაზია, მუდამ ახლის, პრინციპულის, ურთულესი საკითხების ოსტატური გადაწყვეტა — აი, რა ახასიათებდა ანდრია რაზმაძეს, როგორც მათემატიკოსს. მთელი სიცოცხლის მანძილზე მას საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა პირადად თუ წერილობით მსოფლიოში სახელგანთქმულ ისეთ მეცნიერებთან, როგორიც იყვნენ ადამარი, კარათეოდორი, ტონელი, ლევი და სხვები.

ანდრია რაზმაძე თავისი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი იყო. დიდია მისი ღვაწლი საერთოდ ქართული კულტურის წინაშე და განუზომელი — ქართული მათემატიკური კულტურის წინაშე. როცა თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსების ამბავი შეიტყო, ანდრია რაზმაძე მაშინვე გამოეშურა მოსკოვიდან და გვერდით ამოუდგა ამ საშვილიშვილო საქმის მოთავეებს უნივერსიტეტის მეცნიერულად, კულტურულად და მატერიალურად განმტკიცების საქმეში. მის კალამს ეკუთვნის პირველი ქართული მათემატიკური სახელმძღვანელოები, რომელთაც მეცნიერულ-პედაგოგიური თვალსაზრისით დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ანდრია რაზმაძემ გარს შემოიკრიბა ნიჭიერი ქართველი მათემატიკოსები. ასე შეიქმნა ქართველ მათემატიკოსთა ბირთვი, რომელსაც შემდეგ წილად ხვდა მრავალფეროვანი განშტოებანი. ამ განშტოებათა ნაყოფი დღეს საყოველთაოდაა ცნობილი. ანდრია რაზმაძე მათემატიკური განათლების პიონერია საქართველოში და ქართული მათემატიკური კულტურის მამამთავარი.

არ შეიძლება არ აგაღელვოთ ერთმა ამბავმა, რომელიც ასე დამახასიათებელია მისი პიროვნებისათვის. მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე ტორონტოში (კანადა), შესანიშნავი გამოსვლის შემდეგ, ა. რაზმაძე პარიზში მიიწვიეს ერთ-ერთ დიდ მათემატიკურ სემინარში მონაწილეობის მისაღებად (პარიზშივე მან ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „წყვეტილი ამოხსნებისათვის ვარიაციათა აღრიცხვაში"). სემინარის ხელმძღვანელებმა ჟაკ ადამარმა და პოლ ლევიმ შესთავაზეს ა. რაზმაძეს პარიზში სამუშაოდ დარჩენა, მაგრამ დიდმა პატრიოტმა და მოქალაქემ მტკიცე უარი განაცხადა და სამშობლოში გამოეშურა. „მეცნიერება არსად არაა პროვინციული" — ამ დევიზით მიემგზავრებოდა ა. რაზმაძე ტორონტოში 1924 წელს, ამავე დევიზით ბრუნდებოდა პარიზიდან 1925 წელს სამშობლოში, აცისკროვნებდა რა წმიდა ოცნება, — თბილისის უნივერსიტეტი მსოფლიოში საუკეთესოებს ამოდგომოდა გვერდში, ოცნება, რომელიც ასე ზედმიწევნით განხორციელდა ჩვენს ეპოქაში.

ჩვენ გვინდა წერილი დავამთავროთ ცნობილი იტალიელი მათემატიკოსის ტონელის სიტყვებით, რომლებიც ასე კარგად ახასიათებენ ანდრია რაზმაძეს — მეცნიერსა და ადამიანს: „მისი სახით მათემატიკა კარგავს ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწეთაგანს, ერთ-ერთ გატაცებულ მკვლევართაგანს, ნათელ და საღ გონებას... ისინი, ვინც მას იცნობდნენ, ყოველთვის უსაზღვრო აღელვებით მოიგონებენ მისი მაღალი გონების ძალას და კეთილშობილი გულის სიკარგეს".

თ. გეგელია,
თ. ებანოიძე.

ა. რაზმაძის გარდაცვალებიდან 25 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა

30 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შედგება უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა, მიძღვნილი ანდრია რაზმაძის გარდაცვალებიდან 25 წლისთავისადმი.

სხდომაზე წაკითხული იქნება მოხსენებები: 1. ა. რაზმაძის ცხოვრება და მოღვაწეობა (მომხსენებელი პროფ. ა. ხარაძე), 2. ა. რაზმაძე, როგორც მეცნიერი და მასწავლებელი (მომხსენებელი პროფ. ლ. გოკიელი). მოგონებებით გამოვლენ პროფ. ა. შანიძე, პროფ. ვ. ჭელიძე, პროფ. მ. ნოდია და დოც. თ. ცხაკაია.

დიალექტიკური მატერიალიზმი მეცნიერული ათეიზმის ფილოსოფიური საფუძველია

კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის მიერ მოხდენილი რევოლუციური გადატრიალება ფილოსოფიაში პროლეტარიატის მეცნიერული მსოფლმხედველობის — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შექმნაში მდგომარეობს, რომლის წარმოშობით თვით ფილოსოფია იქცა ნამდვილ მეცნიერებად.

დიალექტიკური მატერიალიზმი წარმოიშვა და გაიზარდა იდეალიზმთან და რელიგიასთან ულმობელი ბრძოლის პროცესში. დიალექტიკური მატერიალიზმი მეცნიერული ათეიზმის ფილოსოფიური დასაბუთებაა. ამხელს რა რელიგიის რეაქციულ არსს, დიალექტიკური მატერიალიზმი გვიჩვენებს, რომ რელიგია და მეცნიერება დაპირისპირებულნი არიან. მეცნიერების მთელი ისტორია რელიგიის წინააღმდეგ მისი ბრძოლის ისტორიაა.

რელიგია მეტად ადრინდელ, პირველყოფილ ხანაში წარმოიშვა ადამიანის უვიცი, ველური წარმოდგენებიდან თავისთავისა და გარეგანი ბუნების შესახებ. ფ. ენგელსი წერს „...ყოველი რელიგია ხომ სხვა არა არის რა, თუ არა მხოლოდ იმ გარეგანი ძალების ფანტასტიკური ანარეკლი ადამიანების თავში, რომლებიც ადამიანების ყოველდღიურ არსებობაზე ბატონობენ; ესაა ანარეკლი, რომელშიც მიწიერი ძალები არამიწიერი ძალების სახეს ღებულობენ" (ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952 წ. გვ. 378). მაშასადამე, რელიგია სინამდვილის ფანტასტიკური, დამახინჯებული ასახვაა და ამიტომ იგი მტერია მეცნიერებისა.

მეცნიერება წარმოიშვა ადამიანთა საზოგადოებრივი პრაქტიკის მოთხოვნილებიდან, მატერიალური წარმოების მოთხოვნილებიდან. ეყრდნობა რა ამ პრაქტიკას, მეცნიერება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების სწორ ასახვას იძლევა. მარქსისტული ფილოსოფია, რომელიც არის მეცნიერული კვლევის უტყუარი იარაღი, რომლითაც გამსჭვალულია ყველა მეცნიერება ბუნებისა და საზოგადოების შესახებ, წარმოადგენს ყოველმხრივ განვითარებულ, მწყობრ მეცნიერებას როგორც გარეგანი სამყაროს, ბუნებისა და საზოგადოების, ისე ადამიანური აზროვნების მოძრაობისა და განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ.

დიალექტიკური მატერიალიზმი წარმოადგენს იმ თეორიულ ფუნდამენტს, ფილოსოფიურ საფუძველს, რომელზედაც შენდება კომუნისტური პარტიის ბოლომდე მეცნიერულ-ათეისტური მსოფლმხედველობა.

რელიგია უარყოფს რა ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონებს, მოძრაობისა და განვითარების წყაროდ თვლის ღმერთს. წინააღმდეგ იდეალიზმისა და რელიგიისა, დიალექტიკურ მატერიალიზმს მეცნიერების კანონები ესმის როგორც გარეგან სამყაროში, ბუნებასა და საზოგადოებაში, მიმდინარე ობიექტური პროცესების ასახვა. მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის თვალსაზრისით მოძრაობისა და განვითარების წყარო არის არა ზეციური ძალა, არა ღმერთი, არამედ შინაგანი წინააღმდეგობანი, ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, მომაკვდავსა და მზარდს შორის, დრომოჭმულსა და განვითარებადს შორის. მატერიალური სამყარო თავის განვითარებისათვის არ საჭიროებს არავითარ პირველ ბიძგს, იგი თავის თავში შეიცავს თავისი მოძრაობის წყაროს, რომელიც არის მისივე განვითარებისა და ცვალებადობის მიზეზი.

წინააღმდეგ იდეალიზმისა და რელიგიისა, რომლებსაც სამყარო მიაჩნიათ ღვთიურ შემოქმედებად, ღმერთის განსახიერებად, მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი გამოდის იქედან, რომ სამყარო თავის ბუნებით მატერიალურია და ამ სამყაროს განვითარების კანონზომიერებანი ობიექტურია. მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის თვალსაზრისით სამყარო ვითარდება მატერიის მოძრაობის კანონების მიხედვით და მას არავითარი ღმერთი, „მსოფლიო სული" არ ესაჭიროება.

დიალექტიკური მატერიალიზმი ბოლომდე თანმიმდევრულად, მეცნიერულად წყვეტს ცნობიერების წარმოშობის საკითხს. აზროვნება მაღალორგანიზებული მატერიის — ტვინის პროდუქტია. ხოლო ტვინი მატერიის ხანგრძლივი განვითარების შედეგია. აზროვნება, ფსიქიკა რაღაც ზებუნებრივი კი არ არის, როგორც ამას ამტკიცებენ იდეალიზმი და რელიგია, არამედ ადამიანის ტვინის პროდუქტია.

რელიგიის დაპირისპირება მეცნიერებასთან იმაში ჩანს, რომ, თუ მეცნიერება დაფუძნებულია ცოდნაზე, რომელიც ღრმად იჭრება ბუნების საიდუმლოებაში, რელიგია წარმოადგენს ბრმა რწმენას. ლენინმა არა მხოლოდ გახსნა იდეალისტური ფილოსოფიის არსი, რომელიც არის გზა ხუცობისაკენ, არამედ გვიჩვენა იდეალიზმისა და რელიგიის სოციალური და გნოსეოლოგიური ფესვები. აანალიზებდა რა ადამიანის ცნობიერებაში სინამდვილის შემეცნების პროცესს, ლენინმა გვიჩვენა ამ პროცესის სირთულე და დიალექტიკურობა. ლენინი გვასწავლის, რომ ადამიანის ცნობიერებაში გარემომცველი სინამდვილის ასახვის პროცესის სირთულე გამოიხატება ამ სინამდვილის შემეცნების პროცესში სინამდვილის განვითარების კანონების ამსახველ ცნებათა და კატეგორიათა შექმნაში. ლენინმა გვიჩვენა, რომ ფილოსოფიური იდეალიზმი აბსოლუტებს შემეცნების მხოლოდ ერთ მხარეს, მაგ., შეგრძნებებს ან ცნებებს და მოწყვეტს მათ სინამდვილისაგან, რომლის ასახვასაც ისინი წარმოადგენენ. ამით იდეალიზმი და რელიგია აღმერთებენ ცნობიერებას. წინააღმდეგ იდეალიზმისა და რელიგიისა მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი გამოდის იქედან, რომ შემეცნების პროცესში ცნებებისა და კატეგორიების საშუალებით ჩვენ უფრო უკეთესად და უფრო ღრმად შევიცნობთ გარემომცველ სამყაროს.

დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითადი პრინციპებიდან გამოდის არა მარტო თანმიმდევრული მეცნიერული ათეისტური დასკვნები, არამედ რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი დაძლევის გზებიც.

მარქსიზმ-ლენინიზმი ააშკარავებს რელიგიის კლასობრივ ფესვებს. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა მჭიდროდ დაკავშირებულია მუშათა კლასისა და მთელი მშრომელების ბრძოლასთან კაპიტალისტური საზოგადოების მოსპობისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის. ლენინი ხაზს უსვამდა, რომ რელიგიის მოსპობა ნიშნავს მოსპობას იმ წყობილებისა, რომელიც მას წარმოშობს.

მარქსი აღნიშნავდა, რომ რელიგია „ხალხის ოპიუმია". მარქსის ეს დებულება რელიგიის შესახებ, ლენინის სიტყვით, მარქსიზმის მთელი მსოფლმხედველობის ქვაკუთხედია. ჩვენი ამოცანაა, გადამწყვეტი ბრძოლა ვაწარმოოთ რელიგიური წარმოდგენებისა და ცრუმორწმუნოების, წარსულის ამ წყეული გადმონაშთის, წინააღმდეგ. ამიტომ უნდა გავაძლიეროთ მშრომელთა ათეისტური აღზრდა. ლენინი აღნიშნავდა, რომ მარქსიზმის პოლიტიკური ხაზი რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში მჭიდროდ დაკავშირებულია მის ფილოსოფიურ საფუძვლებთან. იმისათვის, რომ ბრძოლა ვაწარმოოთ რელიგიის წინააღმდეგ, საჭიროა მასებს მივაწოდოთ მეცნიერული ცოდნის მიღწევები. „მასებს უნდა მივაწოდოთ ათეისტური პროპაგანდის უაღრესად მრავალფეროვანი მასალა, — წერს ვ. ი. ლენინი, — გავაცნოთ მათ ცხოვრების ფრიად სულ სხვადასხვა სფეროს ფაქტები, მივუდგეთ მათ ასეც და ისეც, რათა დავაინტერესოთ, გამოვაღვიძოთ ისინი რელიგიური ბანგისაგან, შევანჯღრიოთ სულ სხვადასხვა მხრივ, სულ სხვადასხვაგვარი საშუალებებით და სხვ." (ლენინი, ტ. 33, გვ. 266).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მთელ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით, რომლის განუყრელი შემადგენელი ნაწილია მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა.

ვ. კალანდარიშვილი

უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის XIV კონფერენცია

22 ოქტომბერს ჩატარდა უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის XIV კონფერენცია, რომელმაც მოისმინა კომკავშირის კომიტეტის მდივნის ამხ. ქ. გოგსაძის მოხსენება კომიტეტის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ საანგარიშო პერიოდში, აირჩია კომკავშირის კომიტეტის ახალი შემადგენლობა და დელეგატები საქართველოს ალკკ თ. ო. ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ორგანიზაციის XXXV კონფერენციისა.

კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, განვლილ საანგარიშო პერიოდში მოპოვებულ წარმატებებთან ერთად, ყურადღება იქნა გამახვილებული ნაკლოვანებებზეც: რომ ჩვენი სტუდენტობის, და მათ შორის კომკავშირელთა, ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ დგას სწავლის მოწინავეთა რიგებში; ხშირად კომკავშირლები ორებსაც ღებულობენ და ასეთი ფაქტების აღმოსაფხვრელად კი ნაკლებად იბრძოდნენ საფაკულტეტო და საკურსო კომკავშირული ორგანიზაციები. ადგილი ჰქონდა სტუდენტთა მიერ ლექცია-სემინარების ხშირი გაცდენისა და დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს. კომკავშირელთა ფართო მასა არ იყო ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში, კომკავშირელი აქტივისტები ნაკლებად ზრუნავდნენ, გაეშალათ საინტერესო მუშაობა სტუდენტთა შორის. საფაკულტეტო და საკურსო კომკავშირული ორგანიზაციების კრებები ხშირად არ ტარდებოდა მოწოდების სიმაღლეზე, ზოგჯერ ისახებოდა ზერელე და არაფრისმთქმელი ღონისძიებანი და ნაკლები ყურადღება ექცეოდა მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმებას. ყოველივე ამის საილუსტრაციოდ მომხსენებელმა მრავალი ფაქტი დაასახელა.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ზ. კორაშვილმა (ფილოსოფიის ფაკულტეტის ალკკ ბიუროს მდივანი), მ. შეყრილაძემ (ისტორიის ფაკულტეტის ალკკ ბიუროს მდივანი), გ. მღებრიშვილმა (ფილოლოგიის ფაკულტეტის V კურსის ჯგუფბიუროს მდივანი), ლ. ეგოროვამ (ფილოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი), გ. ქორქიშვილმა (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ალკკ ბიუროს მდივანი), ა. ჯავრიშვილმა (ფიზიკის ფაკულტეტის რუსული განყოფილების ალკკ ბიუროს მდივანი), ნ. აზალაძემ (ეკონომიკის ფაკულტეტის ალკკ ბიუროს მდივანი), ვ. კუპრაძემ (უნივერსიტეტის რექტორი), ზ. ყუფარაძემ (იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი), თ. ცხადაძემ (მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი), ვ. ბალეიშვილმა (ალკკ კომიტეტის მდივნის მოადგილე), თ. ქურიძემ (ფიზიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი), ს. ჯორბენაძემ (უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი).

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ძირითადად ყურადღება გაამახვილეს ჩვენი კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე. მთელმა რიგმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ ალკკ კომიტეტი საანგარიშო პერიოდში სუსტად ეხმარებოდა მუშაობაში საფაკულტეტო და საკურსო კომკავშირულ ორგანიზაციებს, ზოგჯერ კომიტეტი არავითარ მონაწილეობასაც კი არ ღებულობდა ფაკულტეტის ალკკ ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ ისეთ ღონისძიებებში, რომელსაც საუნივერსიტეტო მნიშვნელობა ჰქონდა (მაგ., მეგობრობის საღამო, რომელიც მოაწყო ფილოლოგიის ფაკულტეტმა). კომიტეტის წევრები ნაკლებად ხელმძღვანელობდნენ ფაკულტეტებისა და კურსბიუროების სექტორების მუშაობას.

აღინიშნა, რომ რიგ ფაკულტეტებზე და კურსებზე სტუდენტთა შორის სუსტადაა დაყენებული პოლიტმასობრივი მუშაობა. აგიტატორთა ერთი ნაწილი უპასუხისმგებლოდ ეკიდება მის წინაშე მდგარ ამოცანას. ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული განყოფილების ჯგუფებში სასწავლო წლის განახლებიდან დღემდე არცერთი აგიტაცია არ ჩატარებულა.

კონფერენციაზე ყურადღება იქნა გამახვილებული სტუდენტთა საყოფაცხოვრებო საკითხებზე. რომ ჩვენს სტუდენტებს ჯერ კიდევ არა აქვთ შექმნილი ნორმალური პირობები სტუდენტთა ქალაქში, მაგრამ, მიუხედავად ამ ფაქტების არაერთხელ აღნიშვნისა, მდგომარეობა მაინც გამოუსწორებელი რჩება. ასევე ჯერ კიდევ ფორმალურ ხასიათს ატარებს ჩვენს უნივერსიტეტში ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მუშაობა. ისინი უმეტეს შემთხვევაში საწევრო ანარიცხების აკრეფით შემოიფარგლებიან.

სუსტია კულტმასობრივი მუშაობა სტუდენტთა შორის. არ ეწყობა დასვენების საღამოები, კონცერტები და წარმოდგენები სტუდენტთა ძალებით. უნივერსიტეტის თვითმოქმედი კოლექტივები, უფრო მეტად, პროფესიონალი მომღერლების, დამკვრელებისა თუ მოცეკვავეებისაგან შემდგარ წრეებს უფრო წააგვანან. ეს წრეები ნაკლებად ახდენენ ახალი ძალების გამოვლინებას, მათ ჩაბმას ამ საქმიანობაში.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ხშირად ვერ ამართლებენ და მოწოდების სიმაღლეზე არ დგანან კომკავშირელი აქტივისტები. არის ისეთი ფაქტები, როცა კომკავშირელს აქტივისტის სახელი აქვს საზოგადოებრივ მუშაობაში, მაგრამ ჩამორჩება სწავლაში, ანდა პირიქით, — კარგად სწავლობს, მაგრამ არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს კომკავშირულ ღონისძიებებში, საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, რომ ასეთი სტუდენტები, და მით უმეტეს კომკავშირლები, შორს ვერ წავლენ. ჩვენ გვინდა ისეთი აქტივისტი, რომელიც მართლაც მოწინავეთა რიგებში იქნება როგორც სწავლაში, ისე მუშაობაში.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციაზე ფართო კამათი გაიშალა, ზოგიერთი ამხანაგის გამოსვლა ნაკლებად თვითკრიტიკული იყო და არსებულ ნაკლოვანებებს კომკავშირის კომიტეტისა და უფრო ზემდგომი ორგანოების სუსტი დახმარებით ხსნიდა. კონფერენციამ, რომლის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. თ. ჯანელიძე, საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ე. სეხნიაშვილი, საქართველოს კპ თ. ო. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მდივანი ამხ შ. მახარაძე, საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. სირაძე და სხვა ხელმძღვანელი ამხანაგები, დამაკმაყოფილებლად შეაფასა ალკკ კომიტეტის მუშაობა განვლილ საანგარიშო პერიოდში და აირჩია კომკავშირის კომიტეტის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე დელეგატები საქართველოს ალკკ თ. ო. ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ორგანიზაციის XXXV კონფერენციისა.

ალკკ კომიტეტის შემადგენლობაში არჩეული არიან: ლ. ჯოხაძე, ლ. ეგოროვა, ც. ჯაში, გ. გოშაძე, გ. ქორქიშვილი, ნ. იაკობაშვილი, გ. ფანცხავა, ს. თავბერიძე, ლ. კავილაძე, ნ. ბეთანიშვილი, ვ. მდივანი, ლ. ოსიპოვა, ი. ზონენაშვილი.

• • •

შედგა ახლად არჩეული კომიტეტის პირველი სხდომა. სხდომამ კომიტეტის მდივნად აირჩია ამხ. გ. გოშაძე, მდივნის მოადგილეებად ნ. იაკობაშვილი და ლ. ჯოხაძე.

არქეოლოგიის კაბინეტში

ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებს მათთვის განკუთვნილ სათანადო კაბინეტებში საშუალება ეძლევათ დაათვალიერონ და შეისწავლონ მრავალი ისტორიული ექსპონატი.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს არქეოლოგიის კაბინეტი. აქ შეხედებით ბრინჯაოს ხანის ცულის მრავალსახეობას, შუბის წვერებს, სატევრებს, სხვადასხვა სიდიდისა და მოყვანილობის ჭურჭლეულს.

ღირსშესანიშნავია აფხაზეთის სოფელ კულანურხვის სამარხიდან მოპოვებული სამკაულები, ისრის პირები და სხვ.

კაბინეტში ექსპონირებულია სხვადასხვა საუკუნის რუსული, ბიზანტიური, პართული, რომაული, ელინისტური ფულის ნიშნები; გამოფენილია აგრეთვე პალეოლითის ხანის ქვის იარაღები.

სტუდენტებს სისტემატურად აძლევენ მეთოდურ ახსნა-განმარტებას დოც. ო. ჯაფარიძე და ლაბორანტი ნ. ხოსიტაშვილი.

სურათზე: ისტორიის ფაკულტეტის პირველკურსელი სტუდენტები: ლ. კაპანაძე, თ. ლაბაძე, მ. უზნაძე და თ. ზვიადაძე ეცნობიან არქეოლოგიის კაბინეტში მოწყობილ გამოფენას.

ფოტო ბ. ბაქრაძისა

ენერგიულად შეუდგნენ მეცადინეობას

ნაყოფიერად დაიწყეს სასწავლო წელი ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების პირველკურსელებმა.

პირველმა ჩატარებულმა სემინარებმა ცხადყვეს ამ განყოფილების სტუდენტთა სერიოზული და შეგნებული დამოკიდებულება სწავლისადმი.

მარქსიზმ-ლენინიზმის, ქართული ენის, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის და სხვა სემინარებზე ყოველთვის გაცხოველებული მსჯელობა და კამათია. არკვევენ მათთვის ძნელად დასაძლევ საკითხებს, პრაქტიკულად ეუფლებიან ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებს და იმტკიცებენ თეორიულ ლექციებზე მიღებულ ცოდნას.

სემინარულ მეცადინეობაზე სისტემატურად მომზადებული ცხადდებიან და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სტუდენტები: თ. ჩხაიძე, მ. ცქიტიშვილი, ა. ჯულელი, უ. ხოხიაშვილი და სხვები.

სემინარების ცოცხალ და საქმიან ჩატარებაში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით ხელმძღვანელებს, რომლებიც მთელი მონდომებით და გულისყურით ზრუნავენ სტუდენტთა ცოდნის გაღრმავებაზე, მათში მეცნიერული კვლევა-ძიების ჩვევათა გამომუშავებისათვის.

ასეთი ნაყოფიერი მუშაობა მომავალი მაღალი აკადემიური მაჩვენებლების საწინდარია.

ჰ. ზურგენიძე

პროფკავშირული ორგანიზაციების
საანგარიშო საგადარჩევნო კრებებზე

შევინარჩუნოთ მოპოვებული წარმატებანი

22 ოქტომბერს ჩატარდა ეკონომიკის ფაკულტეტის პროფორგანიზაციის საანგარიშო-საგადარჩევნო კრება.

პროფბიუროს თავმჯდომარის ნოზაძის საანგარიშო მოხსენებაში ითქვა, რომ პროფბიურო იდგა ფაკულტეტის ცხოვრების ცენტრში. მისი წევრები კარგად ეხმარებოდნენ დეკანატს, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ლექცია-სემინარებზე სტუდენტთა აბსოლუტური დასწრებისა და მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის ბრძოლაში. კარგად მუშაობდა კულტმასობრივი კომისია, ფაკულტეტზე ჩამოყალიბებული ცეკვისა და დრამატული წრეები. ფაკულტეტზე ხშირად ტარდებოდა მხატვრული საღამოები. ჩატარდა რიგი მარტისადმი და უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი საღამოები.

ფაკულტეტის პროფბიურო კარგად ხელმძღვანელობდა სტუდენტთა საყოფაცხოვრებო საქმის მოგვარებას. კარგმა ხელმძღვანელობამ დააინტერესა თვით სტუდენტებიც და ამის შედეგი იყო ის, რომ სტუდქალაქის VII კორპუსის მე-2 ოთახის (მამასახლისი აბაიძე) მცხოვრებლებმა კარგი სისუფთავისა და ოთახში წესრიგის დამყარებისათვის ჯილდოდ მიიღეს პატეფონი.

კარგი შედეგები იყო ჯგუფების პროფორგთა მუშაობაშიც. ეს განსაკუთრებით ითქმის პროფორგ შ. დოთუაშვილის მიმართ, რომელიც მონდომებით, ხალისიანად და საქმის ცოდნით ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას.

კარგი თაოსნობა გამოიჩინეს ამ ფაკულტეტის სტუდენტებმა. მათ გადაწყვიტეს არდადეგების პერიოდში დახმარებოდნენ თავიანთ სოფლებს. ამ ღონისძიების ცხოვრებაში გატარებისათვის პარტიულ და კომკავშირულ აქტივს მხარში ამოუდგა პროფორგანიზაციაც.

მაგრამ მიღწეულ წარმატებებთან ერთად პროფბიუროს მუშაობაში არის ნაკლოვანებანიც. ცუდად მუშაობდა საორგანიზაციო კომისია (ხელმძღვანელი სიხოვაძე). სამხედრო-ფიზკულტურული კომისიის ხელმძღვანელი ამხ. [illegible], პასუხისმგებლობით არ ეკიდებოდა თავის მოვალეობას და ამის გამო იყო, რომ ეკონომიკის ფაკულტეტი სამარცხვინოდ ჩამორჩა სპორტის სხვადასხვა სახეობაში და კალათბურთის საუნივერსიტეტო პირველობაზე ბოლო ადგილზე გავიდა.

მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: სიხსიაძე, ლომიძე, პაიკიძე, კბილაშვილი, შუბითიძე, ფარუაშვილი და სხვები, რომლებმაც ყურადღება გაამახვილეს მოხსენებაში დაყენებულ ზოგიერთ საკითხზე.

გ. ჭამლეტაშვილი

კრება მომზადებულად ჩატარდა

კარგია, როცა მომხსენებელი დამაჯერებლად ლაპარაკობს, როცა წარმატებების გადმოცემასთან ერთად არ ერიდება ნაკლოვანებათა მხილებას. მაშინ ხომ მთელი აუდიტორია სმენადაა გადაქცეული, მოხსენებაში თქმული არც ერთი სიტყვა არ რჩება ყურადღების გარეშე და კრებაც სათანადო ანალიზს უკეთებს მას. ასეთი შთაბეჭდილება დატოვა დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის პროფორგანიზაციის საანგარიშო-საგადარჩევნო კრებამ. პროფბიუროს თავმჯდომარე დარეჯან გოგოხია საქმის ღრმა ცოდნით ლაპარაკობდა ორგანიზაციის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

განვლილ პერიოდში სტუდენტთა ფართო მონაწილეობით ხშირად ეწყობოდა ექსკურსიები ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად, კოლექტიური სვლები კინო-თეატრებში და სხვ. მაგრამ ეს ღონისძიებანი კულტმასობრივი მუშაობის კომისიის თავმჯდომარეს ს. მამასახლისს როდი მიეწერება. იგი უნარიანად ვერ უძღვებოდა მინდობილ საქმეს, არ ჩანდა მისი ინიციატივა, რის შესახებაც კრებაზე ბევრი ითქვა. კარგად მუშაობდნენ საორგანიზაციო-მასობრივი და ნებაყოფლობით საზოგადოებათა კომისიები. საყოფაცხოვრებო კომისია სისტემატურად სწავლობდა სტუდენტთა ცხოვრების პირობებს, ხშირ მათგანს გაუწია საჭირო დახმარება; საზაფხულო არდადეგების დროს საგზურებზე სტუდენტთა ყველა მოთხოვნა იქნა დაკმაყოფილებული.

სუსტად მუშაობდა სასწავლო-სამეცნიერო კომისია. მისი გეგმები მეტად უშინაარსო იყო, რამაც გავლენა იქონია სამეცნიერო წრეების მუშაობაზე. სტუდენტთა პროფკომის სათანადო კომისიები სუსტ დახმარებას უწევდნენ პროფბიუროს ნაკლოვანებათა დაძლევაში. პროფორგთა ერთი ნაწილი არ იდგა მოწოდების სიმაღლეზე, გულგრილობას იჩენდა საწევრო-ანარიცხების აკრეფის საქმეში (ცალანდაძე, დოლიძე, ხაჟალია, ზამბახიძე). კავშირის წევრებს: ყუფარაძეს—27 თვისა და კრესელიძეს—18 თვის საწევრო აქვთ გადასახდელი.

ბიურო გარკვეულ დახმარებას უწევდა ძირეულ პრესას, მაგრამ ფაკულტეტის კედლის გაზეთის „მებრძოლი ფილოლოგის" მუშაობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. გაზეთი დაგვიანებით გამოდის, სათანადოდ ვერ ასახავს სტუდენტთა ცხოვრებას.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა მიუთითეს ბიუროს მუშაობაში არსებულ ხარვეზებზე. კრებამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი შემდგომში მუშაობის გასაუმჯობესებლად და აირჩია ბიუროს ახალი შემადგენლობა.

თ. საანდერაშვილი

ამხილეს ნაკლოვანებანი

ნაკლოვანებათა მხილების ნიშნით ჩაიარა ფილოსოფიის ფაკულტეტის პროფკავშირული ორგანიზაციის საანგარიშო-საგადარჩევნო კრებამ.

საანგარიშო მოხსენებაში პროფბიუროს თავმჯდომარემ ნ. გიორგაძემ ილაპარაკა ფაკულტეტზე ჩატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ, აღნიშნა აგრეთვე ფაკულტეტის ცხოვრებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანიც.

მართალია, ფაკულტეტზე აკადემიური მოსწრება გასულ წელს 96,2%-ს უდრიდა, მაგრამ საკმაოდ იყვნენ ჩამორჩენილებიც, რომელთა გამოსწორების მიზნით პროფბიუროს სათანადო ზომები არ მიუღია. პროფბიურო არ იბრძოდა ლექცია-სემინარების უმიზეზოდ გამცდენი სტუდენტების წინააღმდეგ. სწავლის დაწყებიდან უკვე 2 500 საათია გაცდენილი. ამ ციფრის მთელი მნიშვნელობა ცხადი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფაკულტეტზე მხოლოდ 150 სტუდენტია.

პროფბიუროს საკუთარი ინიციატივით ერთხელაც არ ჩაუტარებია ლექცია-მოხსენება და თეორიული კონფერენცია.

პროფბიუროს მუშაობაში შეიმჩნეოდა ზედმეტი გატაცება სასხდომო ფუსფუსით. თითოეულ კომისიას ჩატარებული აქვს 14-19 სხდომა. კულტმასობრივი მუშაობის კომისიამ მოიწვია 19 სხდომა, განიხილა 26 საკითხი და მათგან მხოლოდ 15 ღონისძიება აქვს ჩატარებული.

კრებაზე აღინიშნა, რომ ნაკლები ყურადღება ექცეოდა სტუდქალაქში მცხოვრებ სტუდენტებს. კედლის გაზეთი „მებრძოლი მატერიალისტი" ვერ ატარებდა მებრძოლ ხასიათს.

კრებაზე გამოსულმა ამხანაგებმა დიორგაძემ, კორაშვილმა და სხვებმა უსაყვედურეს უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფკომს სუსტი ხელმძღვანელობისათვის.

კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ პარტბიუროს მდივნის მოადგილე ქ. ჭურიძე და ფაკულტეტის დეკანი პროფ. რ. ნათაძე, რომლებმაც ილაპარაკეს ფაკულტეტის სტუდენტთა პროფორგანიზაციის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისა და მომავალი ამოცანების შესახებ.

ი. ჩიტაშვილი

ინდური ფილმების დღეები

[illegible]

საბჭოთა კავშირში პირველად ჩატარებულმა ინდური ფილმების ფესტივალმა ცხადყო ის დიდი ოსტატობა, რომელსაც მიაღწია ნაციონალურმა კინოხელოვნებამ ინდოეთში.

საბჭოთა კავშირში ინდური ფილმების ფესტივალის გახსნის პირველ დღეს ინდოეთის კინოხელოვანთა დელეგაციის მეთაურმა კ. აბასმა განაცხადა: „ჩვენ ჩამოვედით, რომ გესაუბროთ და ბევრი რამ კიდევ ვისწავლოთ თქვენგან. ჩვენ ჩამოვიტანეთ ფილმები, რომლებშიც ცხოვრება სიმართლითაა ასახული. აქ ნახავთ ჩვენს შრომასა და სიყვარულს, ჩვენს მუსიკას; აქ ჩვენი ხალხის ნაციონალური სულია გამოხატული. ეს ფილმები დაეხმარება ომისა და სიძულვილის ჩაქრობის საქმეს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამყარებას".

პირველი ფილმი, რომელიც ნახა საბჭოთა მაყურებელმა, ეს იყო „ორი ბიგჰა მიწა" („დო ბიგჰა ზამინ" 1954). ამ ყოველმხრივ სანიმუშო ფილმს თამამად შეიძლება ვუწოდოთ შედევრი. სცენარისტმა ხ. მუკერჯიმ და რეჟისორმა ბიმალ როიმ შექმნეს შეკრული, მძლავრი ფილმი, რომელიც ერთნაირი დაძაბულობით ვითარდება თავიდან ბოლომდე.

ფილმის სიუჟეტი მარტივია: ბენგალელი გლეხი შამბუ მეტო (მსახიობი ბ. საჰნი) იძულებულია დაიხსნას მოტყუებით მემამულის მიერ მიტაცებული მიწის ნაგლეჯი. მის მიწაზე ფაბრიკის აგება მოისურვეს, გლეხს კი არ სურს მარჩენალი მიწის გაყიდვა. „მიწა ხომ დედაა, და ვინ გაყიდის დედას?" — ამ ფიქრით შეპყრობილი მეტო ფულის საშოვნელად კალკუტაში მიდის, სადაც მას თან მიჰყვება შვილი კანაიაც (მსახიობი რ. კუმარი). აქ იწყება მამა-შვილის ტრაგედია. იშვიათი ბუნებრიობით განასახიერებს რ. კუმარი პატარა, პატიოსან ბიჭს, რომელიც ყოველმხრივ ეხმარება მამას. ფილმში არსად, არც ერთ წუთს არ იგრძნობა სიყალბე ან თუნდაც თამაში. არაჩვეულებრივი ბუნებრიობა. თითქმის დოკუმენტალურობა, მაგრამ ამავე დროს ღრმა მხატვრობა და შინაგანი განცდები. აი რა იპყრობს მაყურებლის ყურადღებას. ლირიულ ფონს ქმნის შამბუს ცოლი ერთგული პარვატი, რომლის როლს დიდი ტაქტით და სინაზით ასრულებს ნირუპა როი. ძუნწი, მაგრამ ბევრისმთქმელი შტრიხებით ხატავს ის ინდოელი ქალის მოკრძალებულ დიდბუნებოვნებას.

ასევე კარგადაა აქ განსახიერებული სხვა პერსონაჟთა სახეებიც. შამბუმ ვერ იშოვნა ფული. მიწა მას წაართვეს, ერთი მუჭაც კი არ გაატანეს თან. სამნი მიდიან ისინი კადრის სიღრმეში უცნობი მომავლისაკენ. რა ელით მათ იქ? ნუთუ ადამიანს არა აქვს უფლება იქონიოს ნაგლეჯი მიწა? ასეთი მნიშვნელოვანი კითხვების აღმძვრელია ეს უაღრესად რეალისტური და მაღალმხატვრული ფილმი. შემთხვევითი როდია, რომ ამ ფილმმა მიიღო საერთაშორისო პრემია 1954 წ. კანის ფესტივალზე და „სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის" პრემია მერვე საერთაშორისო ფესტივალზე კარლოვი ვარში.

ფილმი „ქარიშხალი" (რეჟისორი და სცენარისტი ჩ. ანანდი, 1952 წ.) პოეტური ემოციურობით გადმოგვცემს წმინდა სიყვარულისა და თავდადების კონკრეტულ შემთხვევას. რანის (მსახიობი ნიმი) უიმედოდ უყვარს ვექილი რამ მოჰანი. შესანიშნავად ასრულებს ის გულუბრყვილო, თავგანწირული გოგონას როლს (განსაკუთრებით ძლიერია სცენები ქორწილის წინ და მკვლელობის შემდეგ). რამი (მსახიობი დ. ანანდი) პატიოსანი მოქალაქეა, რომელსაც უყვარს თავისი ხალხი, და ხალხიც აფასებს ამას. მთელი ქალაქი აუჯანყდება მევახშე კუვერდასს, რომლის როლსაც დიდი ოსტატობით ასრულებს კ. სინგჰი, როდესაც ის საცოლეს ართმევს რამს. უნდა აღინიშნოს მაინც, რომ შედარებით სხვა ფილმებთან კინემატოგრაფიული თვალსაზრისით, ეს სურათი უფრო სუსტია. სცენარი ზოგჯერ ზედმეტად გაჭიანურებულია, ზოგი სცენა გაუმართლებელი (რამის გამკიცხავი მონოლოგი, ქარიშხლის თითქოს დასაწყისი, სადილი მკვლელობის წინ). მაგრამ კარგად მოფიქრებული ფინალი და ზოგი მსახიობის (ნიმი, დ. კოტე, მ. ლატეიფი, კ. სინგჰი) ოსტატობა მაინც დაუვიწყარს ხდის ამ ფილმს. მაყურებელს აწვალებს იგივე კითხვა, რაც ფილმის გმირს: „მოეღება როდისმე ბოლო ადამიანის ასეთ წამებას?". ხოლო მევახშე კუვერდასის გაყინული, საზარელი თვალები, თითქოს მოწმობენ: „მოეღება, მაგრამ მხოლოდ ბრძოლით!"

1952 წელს ინდოეთის ეკრანზე დიდი წარმატებით გამოვიდა ფილმი „მაწანწალა" („ავარა"). სცენარისტებს კ. აბასსა და სატჰეს და რეჟისორს რაჯ კაპურს ამოძრავებდათ ერთი მთავარი იდეა: კინოხელოვნება პროპაგანდას უნდა უწევდეს არა კაცთმოძულეობას, არამედ სიყვარულს ადამიანისადმი, დიდ ჰუმანიზმს. მართლაც ფილმში დიდი სიყვარულითა და ადამიანურობით ასახულია ერთი მაწანწალას თავგადასავალი. გახსნილია ის სოციალური პირობები, რომელნიც წარმოშობენ ბოროტმოქმედებს. ფილმი ილაშქრებს იმ ცრურწმენის წინააღმდეგ, თითქოს პატიოსანი ადამიანის შვილი ყოველთვის პატიოსანი იქნება, ქურდისა კი ქურდი. „პატივცემული" მოსამართლის რაგუნათის შვილი ქურდ-ბაცაცებში იზრდება. სიღარიბის გამო სკოლიდან გამოგდებული ის აცდება პატიოსნების გზას, მაწანწალად იქცევა. შესანიშნავად შეკრული სცენარი დამაჯერებელი სიმართლით ავითარებს მოქმედებას. იგრძნობა, რომ რაჯი, ისევე როგორც ყოველი ადამიანი, დაბადებით ბოროტმოქმედი კი არ არის, არამედ არსებულმა სოციალურმა და ყოფაცხოვრებითმა პირობებმა აქციეს იგი ასეთად. რაც შეეხება ფინალს, ის არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება ფილმის შინაარსს. თუ ცდებოდა რაგუნათი თავისი „თეორიით", შეცდა ბანდიტი ჯაგაც, რომელმაც რაჯს სამუდამო ავაზაკობა უწინასწარმეტყველა. ფილმში უფაქიზესად არის ნაჩვენები, როგორ გარდაქმნა რაჯი სიყვარულმა, როგორ უშველა მას რიტას ადამიანობამ.

ამიტომ არის, რომ ეს მამხილებელი ფილმი ამავე დროს დიდი ოპტიმიზმითაა სავსე.

ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი, ინდოეთის საყვარელი და სახელგანთქმული მსახიობი რაჯ კაპური ჭეშმარიტად უდიდესი კინოხელოვანია. ფილმის რეჟისორული მხარე, განსაკუთრებით პირველ სერიაში, უნაკლოა. კინემატოგრაფიის უკანასკნელი მიღწევების გამოყენებასთან ერთად, მას ბევრი რამ შემოაქვს ახალი. ორმაგი კადრები, კადრების მონაცვლეობა, მიზან-სცენები ერთი უწყვეტი ბუნებრივი ჯაჭვია დაძაბული მოქმედების განვითარებაში. ფილმის დიდ წარმატებას განსაკუთრებით ხელს უწყობს შემსრულებელთა კარგად შერჩეული, შეთანხმებული ანსამბლი, თვით რაჯ კაპურით ცენტრში. განსაცვიფრებელია მისი მრავალფეროვნება. თუ პირველ სერიაში მას გადაჰკრავს ჩაპლინის მანერები ზოგჯერ, იქვე ის ქმნის სულ სხვა, საწინააღმდეგო, მხოლოდ კაპურისათვის დამახასიათებელ ხასიათს. განსაკუთრებით ძლიერია მისი აქტიორული შესრულება მეორე სერიაში. მეორე სერიაშივე გაიშალა მსახიობი ქალის ნარგისის მთელი შესაძლებლობანი. მისი რიტა ცოცხალი, მგრძნობიარე და ამასთან მტკიცე ნებისყოფის მქონე ქალიშვილია.

მთელი ფილმის განმავლობაში ერთნაირად ძლიერია მოსამართლე რაგუნათის როლის შემსრულებელი პრიტჰვირაჯი. დიდი დრამატიული ძალის მქონე მსახიობი, ის ბრწყინვალედ ფლობს მიმიკას. მძიმე მოძრაობა, შემზარავი თვალები, აცახცახებული ბაგე ნათლად გადმოგვცემს მის შინაგან ხასიათს.

კარგად ასრულებს დედის როლს მსახიობი ლ. მისრა და ბანდიტ ჯაგას როლს მსახიობი კ. სინგჰი. მათ მოახერხეს ამ გავრცელებული როლების თავისებური, ორიგინალური შტრიხებით განსახიერება.

ცალკე უნდა აღინიშნოს მუსიკის ადგილი ინდურ ფილმებში. აქ მუსიკა ასრულებს არა დამხმარე, არამედ მთავარ და ზოგჯერ წამყვან როლსაც, კომპოზიტორი ფილმისა ისევე ცნობილია და პოპულარული, როგორც რეჟისორი ან კინომსახიობი. არსად არ იგრძნობა მუსიკის ხელოვნური ჩამატება, ის ან ხაზს უსვამს და ხსნის მომენტს, ან მისი საშუალებით გადმოიცემა გმირის განცდა. როდესაც „ორ ბიგჰა მიწაში" წვიმას უხმობენ ან რიკშები მღერიან (კომპოზიტორი ს. ჩაუდჰური), ეს კიდევ უფრო ნათელს ხდის გმირების ყოფას, მათ მდგომარეობას. „ქარიშხლის" სევდიანი, წინათგრძნობით აღსავსე სიმღერები და საქორწინო ცეკვები (კომპოზიტორი უსტად ალი აქბარ ხანი) ორგანულად ერწყმის მოქმედების განვითარებას. მდიდარი და მრავალფეროვანია კინოფილმ „მაწანწალას" მუსიკა (კომპოზიტორი შ. ჯაიკიშანი).

ინდურმა ფილმებმა დაგვანახეს ინდოელი ხალხის ცხოვრების რეალური სურათები. მხატვრული სიმძლავრითა და სიმართლით გადაიშალა ჩვენს წინ ამ დიდი კულტურის მქონე ხალხის ყოფა-ცხოვრება. ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობის განმტკიცებას.

ალ. გვახარია

★

სურათზე: ზემოთ—მსახიობი რ. ჯ. კაპური რაჯის როლში („მაწანწალ."), ქვემოთ—მსახიობი ნიმი რანის როლში („ქარიშხალი").



სურათზე: ფიზიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები კალათბურთის მოედანზე მეცადინეობის დროს. ფოტო გ. ბაქრაძისა.

სპორტული ამბები

VII ტრადიციული ალპინიადა

ჩვენს უნივერსიტეტში ტრადიციად იქცა ყოველწლიურად სტუდენტთა მასობრივი ალპინიადის ჩატარება მარადთოვლიანი კავკასიის მწვერვალების დასაპყრობად.

ალპინიადას დიდი ხნის ისტორია აქვს ჩვენს უნივერსიტეტში. იგი შემოღებული იქნა პროფესორ გ. ნიკოლაძის მიერ, რომელიც სტუდენტებთან ერთად პირველად ავიდა მყინვარწვერზე და საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ალპინიზმს. ალპინიზმის საფუძვლის ჩაყრის აღსანიშნავად უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მიერ ყოველწლიურად ეწყობა მყინვარწვერზე ასვლა.

საბჭოთა ალპინიზმის 31 წლისთავის აღსანიშნავად უნივერსიტეტის ფიზკულტურის კათედრამ და ალპინიზმის კლუბმა გადაწყვიტეს მოეწყოთ VII მასობრივი ალპინიადა. შეიქმნა საორგანიზაციო შტაბი უნივერსიტეტის პრორექტორის პროფ. ი. გვერდწითელის თავმჯდომარეობით. შტაბმა საექიმო კომისიაზე გატარების შედეგად 200-მდე სტუდენტი შეარჩია და დაჰყო ისინი 3 ნაკადად.

ალპინიადის ხელმძღვანელად დაინიშნა სახელმოხვეჭილი ალპინისტი, უნივერსიტეტის დოცენტი ოთარ გიგინეიშვილი. პოლიტხელმძღვანელად გამოყოფილია გ. მხეიძე.

22 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, გავიდა სტუდენტთა პირველი ნაკადი, რომლის შემადგენლობაშია 70 კაცი. ალპინიადის მონაწილეები ჩავლენ დუშეთის რაიონის სოფელ გუდამაყარში. აქედან დაიწყება ასვლა მწვერვალ ჯაუხზე, რომლის სიმაღლე 4 000 მეტრამდე აღწევს. ნაკადს გაჰყვა 2 ექიმი და მაშველი ჯგუფი სპორტის დამსახურებული ოსტატის ირაკლი ბაქრაძის ხელმძღვანელობით. ნაკადი გაყოფილია 6 ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს ჰყავს თავისი ალპინისტ-ინსტრუქტორი და პოლიტხელმძღვანელი.

ალპინიადის მონაწილენი უზრუნველყოფილი არიან ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, საჭურვლითა და საკვებით.

ალპინიადის მიზანია ფართოდ დანერგოს სტუდენტთა შორის სპორტის ერთ-ერთი ლამაზი სახეობა—მთამსვლელობა, მოამზადოს ნიშნოსნები და თანრიგოსნები.

ვუსურვოთ ჩვენს მეგობრებს წარმატება!

პ. გურგენიძე

ფეხბურთი

ჩატარდა შეჯიბრება ფეხბურთში თბილისის უმაღლესი სასწავლებლების პირველობაზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ფიზკულტურის, პოლიტექნიკური, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდები.

წარმატებას მიაღწია ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა, რომელმაც ჩატარებული სამი თამაშიდან სამივე მოიგო და პირველი ადგილი გაინაღდა

პირველი დამარცხების შემდეგ უნივერსიტეტის ფეხბურთელებმა კარგად ჩაატარეს შეხვედრა რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ფეხბურთელებთან და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვეს—ანგარიშით 7:0.

გასულ კვირას „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა შეხვედრა უნივერსიტეტისა და სპი-ს ფეხბურთელთა გუნდებს შორის, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა მეორე ადგილის ბედი აღნიშნულ შეჯიბრებაში.

თამაში თავიდანვე სწრაფი ტემპით წარიმართა. უკვე მე-9 წუთზე ალფაიძემ პირველი ბურთი მოათავსა მოწინააღმდეგის კარში. 38-ე წუთზე ინსტიტუტელები კვლავ ცენტრიდან იწყებენ თამაშს.

მეორე ნახევრის პირველ წუთებში ინსტიტუტელებმა შეუტიეს უნივერსიტეტის კარს და შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა.

26-ე წუთზე ცაგარეიშვილი ოსტატურად გადის დამცველთა შორის, ატყუებს მეკარეს და დაუბრკოლებლად აგზავნის ბურთს კარში.

35-ე წუთზე ზ. კალოევი ლამაზი თავური დარტყმით ანგარიშს ზრდის. ანგარიში 4:1 თამაშის დამთავრებამდე არ შეცვლილა.

ამ შეხვედრის შემდეგ ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: პირველ ადგილზეა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი, მეორეზე—სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი, მესამეზე—სპი-ს ფეხბურთელები, ხოლო მეოთხეზე—რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდი.

აღნიშნულ შეჯიბრებაში ჩვენი უნივერსიტეტის სპორტულ სახელს იცავდნენ: მ. რატიანი, თ. ნიკურაძე, ვ. ალფაიძე, ო. ჩიქობავა, უ. ჯანგველაძე, ე. კუპავა, ი. კამრაკოვი, ა. ცინცაძე, ა. კოლაძე, ზ. კალოევი, ნ. ცაგარეიშვილი, ზ. გოხორაშვილი, ჯ. ცერცვაძე, გ. გოგიძე და მ. ძორელაშვილი.

გ. გომართელი

ქართული ჭიდაობა

15-17 ოქტომბერს ჩატარდა შეჯიბრი ქართულ ჭიდაობაში უნივერსიტეტის პირად-გუნდურ პირველობაზე, რომელშიაც გუნდურ I ადგილზე (13 საჯარიმო ქულა) გამოვიდა ეკონომიკის ფაკულტეტის გუნდი. II ადგილზე—მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის გუნდი (20 საჯარიმო ქულა).

პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით უნივერსიტეტის ფალავნები გახდნენ: უმჩატეს წონაში— შ. მაღლაშვილი, მჩატე წონაში—მ. საგინაშვილი, ნახევრად მსუბუქში—გ. ჩაკურიშვილი, მსუბუქ წონაში—გ. იმედაძე, ნახევრად საშუალოში—რ. კრიჰინაშვილი, საშუალო წონაში—სეინიშვილი, ნახევრად მძიმეში—ეცადიშვილი, მძიმე წონაში—ზ. ჩიკვილაძე.

რედაქტორი ირ. ვეშაპიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 3-28-66.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია, უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 1000. უე 15621